საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №39(46), 1999 წელი, მუხ. 190) დაემატოს შემდეგი შინაარსის VII [16] - VII[19] თავები:

„თავი VII [16] ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით

მუხლი 21 [63]. მოსამართლის ბრძანება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ბრძანებას ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 21[64]. სააგენტოს შუამდგომლობა

1. სააგენტოს შუამდგომლობა მოსამართლეს წარედგინება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

2. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტ(ებ)ის საქმიანობის შემოწმების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს და დასაბუთებას შესაბამისი ღონისძიების გამოყენების საჭიროების თაობაზე. შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ზუსტი მონაცემები, რომელიც უნდა შემოწმდეს, შემოწმების ვადა, ხასიათი და ფარგლები.

მუხლი 21[65]. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესი

1. მოსამართლე გადაწყვეტილებას სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე, იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ისათვის შეუტყობინებლად, რომლის ადგილზე შემოწმებასაც ითხოვს სააგენტო.

3. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების შესახებ მოსამართლის ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით და ინფორმაცია იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის თაობაზე, რომლის შემოწმებაც ხდება;

გ) ბრძანების მოქმედებისა და ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების ვადა;

დ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

4. თუ სასამართლო არ ეთანხმება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებას, ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი დასაბუთებით და ინფორმაცია იმ ეკონომიკური აგენტ(ებ)ის თაობაზე, რომლის ადგილზე შემოწმებაზეც ითქვა უარი;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანება დგება არა ნაკლებ 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა სააგენტოს, რომელთაგან ერთს იგი წარუდგენს ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს, ადგილზე შემოწმების დაწყებამდე.

6. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სააგენტოს, მეორე – ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს ერთი თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება სააგენტოს მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადას. სააგენტოს შუამდგომლობაში უნდა აისახოს ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა მოკვლევისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების ვადის გაგრძელების შესახებ განიხილება ამ მუხლით დადგენილი წესით.

8. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების/შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე მოსამართლის ბრძანება საჯაროდ არ ცხადდება.

მუხლი 21 [66] მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების წესი

1. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმებაზე უარის თქმის თაობაზე მოსამართლის ბრძანება სააგენტოს მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, მისი სააგენტოსათვის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში სააპელაციო სასამართლოში. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებთან ერთად, დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს, ეკონომიკური აგენტ(ებ)ისათვის შეუტყობინებლად. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვისათვის დადგენილი წესით.

2. ეკონომიკურ აგენტ(ებ)ს შეუძლია ადგილზე შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში, მისთვის ბრძანების გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. გასაჩივრება არ იწვევს ბრძანების მოქმედების შეჩერებას. საჩივარში უნდა აღინიშნოს ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ადგილზე შემოწმების დაწყებისთვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არ არსებობის თაობაზე. საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომტან სასამართლოში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს, რის თაობაზეც ატყობინებს მხარეებს. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მხარეებს გადაეცემათ მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

„თავი VII[17] ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით

მუხლის 21[67] მოსამართლის ბრძანება ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას, სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლის 21 [68] სააგენტოს შუამდგომლობა

1. სააგენტო უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ სააგენტომ მიმართა მათ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნით და ინფორმაცია/დოკუმენტაცია განსაზღვრულ ვადაში არ არის წარდგენილი.

2. სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას და არგუმენტაციას. შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის ზუსტი მონაცემები, რომლისგანაც სააგენტო ითხოვს ინფორმაციას/დოკუმენტაციას და მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი.

მუხლი 21[69]. ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გამოცემისა და მისი გასაჩივრების წესი

1. მოსამართლე ბრძანებას სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს ამ შუამდგომლობის წარდგენიდან 72 საათის განმავლობაში.

2. მოსამართლე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე,

3. სააგენტოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმების შემდეგ, მოსამართლე გამოსცემს დასაბუთებულ ბრძანებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ეკონომიკური აგენტი/მხარე/დაინტერესებული მხარე, რომელმაც სააგენტოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

გ) ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა და ვადა;

დ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ე) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

6. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სააგენტოს, მეორე – ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

7. მოსამართლის ბრძანება ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის მომენტიდან. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

8. მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე საჩივარი შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

9. საჩივარი სააპელაციო სასამართლოში განიხილება შეტანიდან 72 საათის განმავლობაში, ზეპირი მოსმენის გარეშე.

10.სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავი VII[18]. ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტის ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით

მუხლი 21[70]. მოსამართლის გადაწყვეტილება ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გადაწყვეტილებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით, სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერების თაობაზე, სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 21 [71]. სააგენტოს შუამდგომლობა

სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების შესახებ უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს და დასაბუთებას შესაბამისი ღონისძიების გამოყენების საჭიროების თაობაზე. შუამდგომლობაში მიეთითება ეკონომიკური აგენტის ზუსტი მონაცემები და კონკრეტული ქმედების შინაარსი, რომლის დროებით შეჩერებასაც ითხოვს სააგენტო.

მუხლი 21[72]. ეკონომიკური აგენტ(ებ)ის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების გადაწყვეტის წესი

1. სასამართლო ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების თაობაზე სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ერთი თვის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე.

2. სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების/შეჩერებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ბრძანების ფორმით.

3. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) ეკონომიკური აგენტი და კონკრეტული ქმედება, რომლის შეჩერებაც ხდება;

გ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

დ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

5. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

4. მოსამართლის ბრძანება დგება 3 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სააგენტოს, მეორე – ეკონომიკურ აგენტს, ხოლო მესამე რჩება სასამართლოში.

მუხლი 21[73]. ეკონომიკური აგენტის ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით ბრძანების გასაჩივრება

1. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების/შეჩერებაზე უარის თქმის თაობაზე ბრძანება შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

2. ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერების/შეჩერებაზე უარის თქმის თაობაზე სასამართლო ბრძანებაზე საჩივარი შეიტანება ამ ბრძანების მიმღებ სასამართლოში, მხარისთვის ბრძანების ასლის გადაცემიდან 5 დღის ვადაში.

3. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. საჩივრისა და თანდართული საქმის მასალების ასლები მეორე მხარესაც ეგზავნება.

4. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 14 დღის ვადაში, ამ კოდექსის 21[72] -ე მუხლით დადგენილი წესით.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავი VII[19] ადმინისტრაციული სამართალწარმოება ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხთან დაკავშირებით

მუხლი 21[74]. მოსამართლის გადაწყვეტილება კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტითა და მე-11[1] მუხლის მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გადაწყვეტილებას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე, სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 21[75]. სააგენტოს შუამდგომლობა კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე

1. სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილებას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლო. სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს და დასაბუთებას შესაბამისი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. შუამდგომლობაში მიეთითება კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტების ზუსტი მონაცემები.

2. შუამდგომლობას უნდა დაერთოს სააგენტოს შესაბამისი დასკვნა და საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

მუხლი 21[76]. კონცენტრაციის გაუქმების საქმის გადაწყვეტის წესი

1. სასამართლო გადაწყვეტილებას კონცენტრაციის გაუქმების საკითხის თაობაზე იღებს შუამდგომლობის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

2. სასამართლო სააგენტოს შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენით, რის თაობაზეც შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს სამი დღისა, ატყობინებს კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს და უგზავნის საქმის მასალებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს სააგენტოს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

3. ეკონომიკური აგენტები უფლებამოსილნი არიან მათთვის საქმის მასალების გადაცემიდან, არა უგვიანეს 5 დღისა სასამართლოს წერილობით წარუდგინონ თავისი მოსაზრებები.

4. შუამდგომლობის განხილვის შედეგად, სასამართლო იღებს ერთ - ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე;

ბ) კონცენტრაციის გაუქმებაზე უარის თქმის თაობაზე.

5. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს ბრძანების ფორმით, ბრძანებაში აღინიშნება:

ა) ბრძანების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) განკარგულება კონცენტრაციის გაუქმების ან კონცენტრაციის გაუქმებაზე უარს თქმის თაობაზე, შესაბამისი ვადებისა და გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების მითითებით;

გ) მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი;

6. მოსამართლის ბრძანება ეგზავნება კონცენტრაციის მხარეებს და სააგენტოს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში.

მუხლი 21[77]. კონცენტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით მოსამართლის ბრძანების გასაჩივრება

1. მოსამართლის ბრძანება კონცენტრაციის გაუქმების თაობაზე ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ. ბრძანების გასაჩივრება აჩერებს მის მოქმედებას.

2. საჩივარი მოსამართლის ბრძანების გაუქმების თაობაზე შეიტანება ბრძანების გამომცემ სასამართლოში, მხარეთათვის გადაცემიდან 5 დღის ვადაში. მოსამართლე საჩივარს საქმის მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

3. საჩივარს სააპელაციო სასამართლო განიხილავს მისი შეტანიდან 14 დღის ვადაში, ამ კოდექსის 21[76]-ე მუხლით პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვისათვის დადგენილი წესით.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 21[78]. ბრძანება ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის თაობაზე

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, გადაწყვეტილებას დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის თაობაზე იღებს თბილისის საქალაქო სასამართლო.

მუხლი 21[79]. სააგენტოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის თაობაზე

1. სააგენტოს შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს საკმარის საფუძველს და დასაბუთებას გადაწყვეტილების გამოსაცემად. შუამდგომლობაში მიეთითება იმ ეკონომიკური აგენტის ზუსტი მონაცემი, რომლის იძულებით დაყოფასაც ითხოვს სააგენტო.

2. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევის ფაქტს;

ბ) ინფორმაცია საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობის შესახებ;

გ) საქმის გადაწყვეტისათვის სხვა საჭირო ინფორმაცია.

2. სასამართლოში ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ვრცელდება ამ თავის 21[76] და 21[77] მუხლებით დადგენილი წესი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*